

საქსელო პროვაიდერების № 1 ფორუმი Geo NOG 1,0 და

ინტერნეტმმართველობის №4 ფორუმი Geo IGF 2018

10 -11 დეკემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს საქსელო პროვაიდერების № 1 ფორუმი Geo NOG 1,0 2018 და ინტერნეტმმართველობის №4 ფორუმი Geo IGF 2018. სახელმწიფოს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, საქსელო სატელეკომუნიკაციო პროვაიდერების, RIPENCC და სხვადასხვა დაინტერესებული პირების მხარდაჭერით ჩატარებულ ღონისძიებებს უამრავ ადგილობრივ, უცხოელ სტუმრებთან და სპიკერებთან ერთად დამსწრის, მოდერატორის და მოხალისის სტატუსით ესწრებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

ფორუმების დღის წესრიგი საკმაოდ დატვირთული და საინტერესო აღმოჩნდა საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციის დარგის, აგრეთვე ინტერნეტმმართველობის განვითარების მიმართულებით. სესიებად წარმოდგენილი იყო ისეთი თემატიკები, როგორცაა: „რა არის IoT ე.წ. ნივთების ინტერნეტი და რატომ არის ის მნიშვნელოვანი საქსელო ოპერატორებისათვის“, „საქსელო ინფრასტრუქტურა და ოპერატორების გამოწვევები“, „ინტერნეტთან წვდომა და ფართოზოლოვანი „დაშორება“, „სახელმწიფო და კერძო სექტორის ძირითადი სიახლეები და სათემო ქსელის პერსპექტივები“, „ინტერნეტ ბაზარი, კონკურენცია და სხვა ბარიერები“, „მომხმარებლების ინტერნეტზადყოფნა“ და ა.შ.

სპიკერებს შორის იყვნენ ეკა ყუბუსიძე, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო); უჩა სეთური, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის თავმჯდომარე; ფრედერიკ დონკი, ინტერნეტსაზოგადოების (ISOC) ევროპის ოფისის დირექტორი; დევიდ რაითი, დიდი ბრიტანეთის უსაფრთხო ინტერნეტის ცენტრის დირექტორი; დავით გოგიჩაიშვილი, მარიამ სულაბერიძე, მიხეილ ჯღამაძე (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია); მარია ანდრეევა, ევროპის საბჭოს ექსპერტი; ვაჰან ჰოვსეპიანი, კრისტიან ტოუმელი (RIPE NCC) და სხვები.

ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას რეზულობდნენ სტუ-ს ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტის სტუდენტები: მარიამ მაღრაძე, მარიამ ბირკაძე, დათო იარაჭული, შალვა ნინუა, ირაკლი ჩოკოშვილი და სხვ.





